შინაური საქმეები

№ 14.

კვირა, 4 აპრილი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი   გ ა ზ ე თ ი.

შინაარსი: ჯვარცმა. რა საჭიროა ლოცვა?—ონოფრე მწირისა; ღვთაება ქრისტესი (შაფფიდან). ცოლქრმობა.—დეკ. მარკოზ ტყემალაძისა; ნარკვევი—ბ) სამოქალაქო ქორწინება და ფინლიანდელი ქალები;—ბ) ტელეფონი „სტოკგოლმ—პარიზი“; სალამო საბავშო ბაღში.—ტ; დაფარული და გამოურკვეველი;—კალუათელი ბართლომესი.

ჟურნალი „**შინაური საქმეები**“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს **პრემიათ** შაფფის თხუზულებას „**იესო ქრისტე საკვირველება ისტორიისა**“.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ჯვარცმა

(ფარრარით)

აღესრულა!

არავითარ სიცრუეს არ შეეძლო შეეგინებია ჯვარცმული. იგი ჯვარზედაც კი მეფობდა; იქაც ღვთივამაღლებული იყო იგი მღვდელმთავრებზე, რომლებმაც ჯვარზე გააკრეს, და ტლანქ, უსაქმო, უნამუსო ბრბოზე, რომელიც შეკრებილიყო, რომ დამტკბარიყო მისი ტანჯვით. მდაბალი სიბოროტე უძლური იყო მის წინააღმდეგ, რომლის სულიერი და ზნეობრივი სიდიადე ტანჯვაწამების უფსკრულიდამაც კი კრძალულებას უძრავდა მომაკვდავ ავაზაკებს და წარმართთა ჯალათებს. რომაელ მმართვლის (პილატეს) ბოროტ დაცინვაში უთუოდ იყო ნაპერწკალი დარბაისელ მსჯელობისაც. თავის საძაგელ ქვეშევრდომთა შურისძიების ბოროტ-განძრახვასთან, პილატეს უთუოდ სახეში ჰქონდა გამოეთქვა ის აზრიც, რომ იგი (იესო) იყო ერთი მხრით მეფეც ურიათა—უუდიადესი, უუკეთილშობილესი და უუმართლესი კაცი თავის ხალხში, რისთვისაც იგი ხალხმა ჯვარს აცვა. მეფე კი არ იყო ღირსი თვის სამეფოისა, არამედ სამეფო—მეფისა. გაცილებით უფრო უდიადესი, ვიდრე მეფობა, გამოკრთოდა მის მშვიდ მართალ თვალთაგან, რომლებიც მიპყრობილი იყვნენ მართალთა ქალაქისადმი, *) რომელიც ეხლა გახდა ქალაქად კაცის მკვლელთა. იუდეელები ზედმიწევნით მიხვდენ პილატეს ბოროტ დაცინვას. ამან სრულიად მოსწამლა მათი ველური დღესასწაულობა და მათ მიუგზავნეს პილატეს მოციქულები მღვდელთაგან და სთხოვეს გამოეცვალა მათი აღმაშფოთებელი წარწერა. „ნუ დასწერ ესრეთ, ეუბნებოდენ ისინი, მეფე ურიათა, არამედ დასწერე რომ იგი ამბობდა:

*) იერუსალიმისადმი.

საპატრიარქოს +

მე ვარ მეუფე ურიათა“-ო. მაგრამ პილატეს გაბედულება, რომელიც სწრაფად გაჰქრა კეისრის სახელის ხსენებაზე, ხელახლა განცოცხლდა. ის მოხარული იყო რამე გზით ეწყენინებია და წინააღმდეგობა გაეწია იმ ხალხისთვის, რომლის შფოთიანმა ყვირილმა აიძულა იგი, მოქცეულიყო თავის სურვილის წინააღმდეგ. ბევრს არ შეეძლო ისეთი ძალით გამოეთქვა თავის მედიდური ზიზღი, როგორც რომაელებს. პილატემ ღირსიც არ გახადა ამპარტავანი სამღვდელოება თავის ასეთ საქციელის გამართლებისა, არამედ ერთბაშათ მოუჭრა სიტყვა მკაფიო და ზიზღით სავსე პასუხით: „რაც დავსწერე, დავწერე“-ო.

ჯვარიდგან გარდამოხსნა, რომ შეუძლებელი გაეხადათ (ცნობილია შემთხვევები, როცა ჯვარცმულებს ხსნიდენ ჯვრიდან და ასულიერებდენ), ჯვარ ქვეშ ოთხი დარაჯი დააყენეს ასისთავითურთ. ჯვარცმულების ტანისამოსი ყოველთვის მათი იყო, ვინც ამ მძიმე და არასასიამოვნო მოვალეობის ასრულებას კისრულობდა. ამიტომ მხედრებმაც ხელი მიჰყვეს ი. ქრისტეს ტანისამოსის დანაწილებას და სრულიადაც არ ფიქრობდენ, თუ როგორ ზედმიწევნით ასრულებდენ იგინი ამ დროს ძველ წინასწარმეტყველებას ამის შესახებ. თალითი (წამოსასხამი) ოთხად გაჭლიჯეს, უთუოდ ნაკერავებზე, კეტონეთი ანუ კვართი (პერანგი) კი, რომელიც მთლიან ნაქსოვს წარმოადგენდა, გადასწყვიტეს წილის ყრით გაეყოთ, ვისაც ერგებოდა, რადგანაც მისი გაჭრა, მისი გაფუჭება იქნებოდა. გაყოფა რომ გაათავეს, მხედრები დასხდენ და სცვიდენ ჯვარცმულებს; რომ არ მოსწყენოდათ, ჰამა-სმით, მუსაიფით და თამაშით ატარებდენ დროს.

სანახაობა აღმაშფოთებელი იყო. უმრავლესობა იდგა და შეჰყურებდა ჯვარს; მაგრამ ზოგიერთი გამვლელ-გამოვლელნი, ზოგიერთი შეიძლება ცრუ მოწმენიც და სხვა ბოროტგანმძრახველნიც ჯერ კიდევ დასცინოდნენ ქრისტეს უშვერი სიტყვებით, განსაკუთრებით კი წინადადებას აძლევდენ მას გარდამოსულიყო ჯვრიდგან, თუ იგი ისეთი ძლიერების პატრონი იყო, რომ შეეძლო დახსნა ტაძარისა და სამ დღეში აშენება მისი. თვით მღვდელმთავართაც; მწიგნობართა და მოხუცებულთა რომლებსაც უფრო ნაკლები აღშფოთება და გულშემატკივარმა ემჩნეოდათ, ვიდრე მდაბიო ხალხს, არ სცხვენოდათ თავისი ჭაღარის და ღირსების შებღალვისა, და გაბოროტებულ უმცირესობასთან ერთად ბასრობდენ იესოზე.

ვერც წამებულის ტანჯვამ, ვერც ულმობელმა ვნებამ, ვერც უკვე დასაბნელებლად გამზადებულ თვალების გამომეტყველებამ ვერ დააკმაყოფილა მათი ბოროტი შურისძიების გრძნობა და იგინი თვით ჯვრის ძირში მჭირდავი კადნიერებით ეუბნებოდენ ერთმანეთს „სხვანი აცხოვნა, თავი თვისი ვერ ძალუძს ცხოვნებად ქრისტესა მეუფესა ისრაელისასა, გარდამოხდეს ეხლა, თუ შეუძლია, ჯვარიდგან, რათა ვიხილოთ და გვრწმენეს.“ სრულებით გასაკვირვალი არ არის, რომ რეგვენმა მხედრებმაც მიიღეს მონაწილეობა ურცხვ მღვდელმთავრების ასეთ ბასრობაში; გასაკვირვალი არ არის, რომ იგინი ჰამის დროსაც თავს იქცევდენ მომაკვდავ ტანჯულზე, მიართმევდენ მას ძმარს და იმეორებდენ ებრაელების ბასრობასმეფის უძლურებაზე, რომლის ტახტს ეხლა შეადგენ და ჯვარი და სამეფო გვირგვინს—ეკლის გვირგვინი. ეს კიდევ ცოტაა, საცოდავ ავაზაკებსაც კი გადაედვათ ეს სენი. ამხანაგები, შეიძლება განთავისუფლებული ბარაბასი, მემკვიდრენი იუდა გავლონიტის სიცოფისა, რომელნიც მხოლოდ ერთ მესიას იცნობდენ მესიას მახვილისა და ცარცვა—გლეჯისას, ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ იესოს და ეუბნებოდენ: „თუ შენ ხარ ქრისტე იხსენ თავი თვისი და ჩვენცა“-ო. ამ ნაირად ჯვარცმულის გარშემო გაისმოდა ხმები ღვთის გმობისა და ბოროტებისა, და მთელ ხანგრძლივ სასიკვდილე ტანჯვათა შორის მის ყურს არ სმენია ერთი მადლობის ამოძახილიც, ერთი თანაგრძნობის და სიყვარულის ხმაც. სიმდაბლე, სიცრუე, მხეცობა, სიცოფე—აი რით იყო წამდგარი კაცობრიობა, რით შეეგება იგი თვის მაცხოვრის ცნობიერების უკანასკნელ დაშრეტას, აი როგორი კაცთა უსჯულობის

ნაკადული ღელავდა ჯვარ ქვეშ, ქრისტეს თვალწინ.

მაგრამ იესო სდუმდა. მას შეეძლო ლაპარაკიც; ჯვარცმის ტანჯვები ვერ უბნელებდა გონებას, ვერ ართმევდა შეტყველებას. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ჯვარცმული, მთელი საათობით ჯვარზე დამოკიდებული, თითეული თავისებურად აცხადებდა თავის მწუხარებას სიკოფეს ან სასოწარკვეთილებას, სხვანი გიჟდებოდენ და იწყევლებოდენ. აფურთხებდენ თვის მტარვალებს; სხვანი კიდევ სულმდაბლად თხოულობდენ შებრალებას; ხოლო ერთი თვით ჯვრიდგან, როგორც ტრიბუნიდგან, ამხილებდა თვის თანამემამულეთა ბრბოს სიგლახეს და ბიწიერებაში. ხოლო ი. ქრისტეს არა უთქვამს რა, გარდა სწავლისა და კურთხევისა, გარდა იმისა, რაც სხვათა სიკეთეს და ბედნიერებას არ შეეხებოდა. მიუხედავად ყოველგვარი განკიცხვისა მღვდელმთავართა, სინედრიონის წევრთა და გამვლელ—გამომვლელთა, მხედართა და ამ საკოდავ ავაზაკთა, რომლებიც მასთან ერთად იტანჯებოდენ, როგორც წინეთ გასამართლების დროს, ისე ეხლაც ჯვარზე, არ დაურღვევია თვისი მეფური სიჩუმე.

მაგრამ ეს სიჩუმე შეერთებული მის სიდიადესა სიწმიდესა და უმანკოებასთან უმჯევრმეტყველესი იყო ყოველ სიტყვაზე. პირველ ყოვლისა მან მოხიბლა ერთი ჯვარცმული ავაზაკთაგანი. ეს „კეთილი ავაზაკი", პირველად, სჩანს, თითონაც შეუერთდა თავის ამხანაგს საყვედურში; მაგრამ, როცა ეს საყვედური ღვთის ველურ გმობად გადაიქცა, მან გამოსთქვა ის, რაც გულში ედვა. უთუოთ ის ხშირათ შეხვედრია მაცხოვარს, მოუსმენია მისი მოძღვრება და სხვებთან ერთად მოწამე ყოფილა მისი სასწაულებისა. გადმოცემა უწოდებს მას სახელად დისმას, და გვაუწყებს მაზე მშვენიერ მოგზრობას, რომ მან გადაარჩინა სიკვდილს ღვთისმშობელი და ყრმა მისი, როდესაც იგინი იელტოდენ ეგვიპტედ. ყოველ შემთხვევაში ძალიან შესაძლებელია, რომ იგი ხშირად შეხვედროდეს იესოს გენესარეთის ჭალებში, გამომავალი რომელიმე ავაზაკის თავშესაფარ მღვიმიდგან, რომლის მსგავსი ბევრი იყო მტრედების ჭალის ველურ ღრანტეებში, და უთუოდ იყო ერთი იმ მეზვერეთა და ცოდვილთაგანი, რომლებიც ხშირად მოდიოდენ მის ტკბილ მოძღვრების მოსასმენად. და მაცხოვრის სიტყვამ ჰპოვა მის გულში კეთილი კუნჭული: ყველა არ დაცემულა ქვიან ადგილზე და ეამსა სირცხვილისა და სიკვდილისასა, როცა იგი იმკიდა თავის მოკვლედების სამართლიან სასჯელს, სარწმუნოებამ გაიმარჯვა მასში. როგორც მირულურ კერაზე ხანდიხან იფეთქავს ხოლმე ალი, ეგრეთვე ცოდვილი ცხოვრების ნაცარქვეშ, რომელიც სქლად დაწოლოდა ავაზაკებს გულზე, ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ალი სიყვარულისა ღვთისა და მაცხოვრისადმი. ყველა ჯოჯოხეთურ ამოძახილსა და ღაღადებაში, რომელიც გაისმოდა ირგვლივ მაცხოვრის ჯვარისა, ისმოდა რაღაც საიდუმლო სამძიმო წინათგრძნობა. ზოგი მათგანი შედეგი იყო ეჭვისა და შიაშისა. მღვდელმთავრების და მწიგნობრების სიხარულშიდაც ისმოდა რაღაც დაფარული შიშის გრძნობა. რა იქნება, რომ ეხლაც მოხდეს რომელიმე დიდებული სასწაული? რა იქნება, რომ ეს ტანჯული სხეული უეცრად აენთოს მესსიის სიდიადით, და მეფემ, რომელიც ეგულვებოდათ სამარცხვინო სიკვდილის უკანასკნელ ცეცხლში, უეცარ სიმკაცრით მოუწოდოს ანგელოსთა ლეგეონს და, ჯვრიდგან გადმოსულმა, ღრუბელთაზედა ცისათა, ალსა შინა ცეცხლისასა იწყოს შურის ძიება მტერთა თვისთაზედა? თვით ჰაერი თითქოს გაჟღენთილი იყო სასწაულებით. ცა ბნელდებოდა, დედამიწა ძაგძაგებდა და ირგვლივ გრძნობდენ რაღაც საშიშარ მოჩვენებათა ქროლვას, რომლებიც თავს დასტრიალებდენ საშინელ, შემაძრუწუნებელ სანახაობას და თავზარს სცემდენ მაყურებლებს. მომაკვდავი ავაზაკი იმ დამცირებას, და სისუსტეს, რომლებიც ასე ეწინააღმდეგებოდენ ყოველივეს, რისაც მას, იმედი ჰქონდა, ჯერ ნახევრად ზიზღის და ნახევრად სიბრალულის თვალით უყურებდა; მაგრამ ეხლა ეს სისუსტე მოეჩვენა მას ძლიერებაზე უძლიერესად, ეს დამცირება გამარჯვებაზე უფრო სახე-

ლოვნად. როცა ის მაცხოვარს ხედავდა, სარწმუნოების ნაპერწკალი თანდათან უღვივდებოდა გულში და ბოლოს გადაიქცა მთელ ალათ. დიდი ხანია მან თავი დაანება ბასრობას; ეხლა იგი უკვე ესაყვედურება თავის ამხანაგს გმობისათვის. ნუ თუ ამ მათ შორის ჯვარზე დამოკიდებულის უმანკოებას არ უნდა შეერცხვინა და გაეჩუმებია იგინი, რომელნიც სამართლიანად ისჯებოდენ? და შემდეგ ავაზაკმა მიიბრუნა პირი მაცხოვრისაკენ და ლმობიერად ღაღადჰყო: „მომიხსენე მე, უფალო, როდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. მაშინ მან, ვინც აქამდე სდუმდა და ერთი სიტყვითაც არ გასცა პასუხი ათასნაირ ლანძღვა-გინებაზე, მყისვე უპასუხა ავაზაკს: „ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა შინა!

რა საჭიროა ლოცვა?

გაზაფხულის კვირა დილა იყო. კეკლუცად ამწვანებულ გორაკიდამ დიდ-მარხვის ზარა მგლოვიარე ხმით ხანგამოშვებით უკრავდა, თითქო ძახილით დაიქანცაო. ეკლესიის გალავანში რამოდენიმე პირს ორ ახალგაზდას გარშემო თავი მოეყარა და სმენად გადაქცეულიყო.

— „რა საჭიროა ლოცვა? ნუ თუ ღმერთს ჩემი ხვეწნა სჭირია? ნუ თუ არაფერს მომცემს, თუ არ შევაქე და არ ვადიდე? ეკამათებოდა ერთი ახალგაზდა მეორეს.

— შემცდარი წარმოდგენა გქონიათ ლოცვაზე; მე მისთვის კი არ ვლოცულობ, რომ ეს ღმერთს ესაჭიროება. მისთვის კი არ ვეხვეწები, რომ იძულებულვყო შემეწიოს. ჩემი ლოცვა ჩემი შინაგანი სულის განწყობილების გამოხატვაა და, როგორც ასეთს, მას ღრმა ძირი აქვს ჩემს ბუნებაში. შეგიძლია რამე მშვენიერი და დიდებული იხილო და, თუ შურით არ ხარ შეპყრობილი და სიყვარული გაერთებს მასთან, ქება დიდება არ შეასხა მას? შეგიძლია კეთილის მყოფელისადმი მადლობა არ აღგეძრას გულში? შენ თითონ არა ხარ, რომ ქებას ასხამ და ადიდებ ხელოვნებას, პოეზიას და მათ გმირებს და ამას განა მისთვის ჩადიხარ რომ გენიოსებს ესაჭიროებათ ეს შენი შესხმა!?

ლოცვა ნაკადულია ქება—მადლობის გრძნობისა ყოვლად ბრძენ და სახიერ ღვთის წინ. ლოცვა შედეგია ღვთისა და კაცის კავშირის მიერ ადამიანში გამოწვეულ გრძნობათა გამომეტყველი. რასაკვირველია, თუ შევხედავთ ლოცვას, როგორც ფასს, რომელსაც ღმერთი თხოულობს შენგან, მაშინ იგი ყოვლად შეუწყნარებელია, მაგრამ ასეთი წარმოდგენა ლოცვაზე შეუძლია იქონიოს იმან, ვისაც არასოდეს არ ულოცია, ან არ ჩაკვირვებია ლოცვის შინაარსს; როგორც ვთქვი, ლოცვას, მის შინაარსს, მის სულსა და გულს სიტყვები კი არ შეადგენენ, არამედ ის გრძნობა და სულიერი განწყობილება ადამიანისა ღვთისადმი, რომლის გამომხატველი არიან სიტყვები. ამნაირად ლოცვა მორწმუნისათვის პსიხოლოგიურად აუცილებელია, როგორც შედეგი ღმერთან კავშირისა.

— კარგი. მესმის ლოცვა, როგორც ქება და მადლობა ღვთისა, მაგრამ არ მესმის თხოვნა ლოცვაში. ღმერთმა ხომ იცის მე რაც მჭირია და ჩემზე მეტათ სურს ჩემი სიკეთე, მაშ რა აზრი აქვს ჩემ მის წინ თხოვნას?

— მე მისთვის კი არ ვთხოულობ, ღმერთს რომ შევატყობინო რაც, არ იცის, ან ვაქნევინო, რაც არ უნდა. ღმერთმა ყველაფერი იცის და ყველასთვის და ყოველთვის კეთილია და მოწყალე, მაგრამ ეს მოწყალება მაშინ გადმოდის ადამიანზე, როცა მისი თავისუფალი ნება, მისი სურვილი არის შეერთებული ამ მოწყალების მიღებასთან. თხოვითი ლოცვას კავშირი აქვს ადამიანის თავისუფლებათვითმოქმედებასთან. ადამიანს რომ უთხრა: გაჩუმდი, შენ ნუ თხოულობ, დარდი ნუ გაქვს, ღმერთმა იცის, შენ რაც გინდა, ამ სიტყვებით თქვენ ზლუდავთ მის თვით-მოქმედებას და ხელს აღე-

ბიებთ მას თვალ-ყური ადევნოს და შეიგნოს თვისი საჭიროება. ადამიანის გონიერება-თავისუფლება თხოულობს, რომ მან თვისი საჭიროება თვით იგრძნოს, მისი დაკმაყოფილება ისურვოს. ეს შეგნება-განცდა საჭიროებისა და მისგან განუყრელი სურვილი შემწეობისა ბუნებრივად მიმართული შემძლე და მოწყალე შემოქმედისადმი, სხვა არა არის რა, გარნა ლოცვა შინაგანი, რომელიც, როგორც სხვა ყოველი გრძნობა ადამიანისა, პსიხოლოგიური აუცილებლობით გარეგან გამოიხატება. თხოვითი ლოცვა შედეგია ადამიანისაგან თავის უღონობის და შეწევნის საჭიროების გრძნობისა.

თქვენ საჭიროდ არა თვლით თხოვითი ლოცვას, ჩემის აზრით, ეს მისთვის რომ არც არაფერს საჭიროებთ ღვთისაგან, და ეს მანამდი, სანამ ქვეყნიური სიტკბოება ნექტარს ასმევს თქვენ მჩქეფარ სურვილებს, მაგრამ საკმარისია, დაგტოვოს ამ სიამოვნებამ, რომ მარტოობის და უმწეობის გრძნობამ შენში მორთოს ღაღადი შემწეობაზე. ამის მაგალითები ბევრი მოიპოვება ისტორიაში. ადამიანები, რომელნიც სიცოცხლეში საჭიროდ არა თვლიდენ არავითარ ღვთის-მსახურებას და თვით ღმერთსაც, სიკვდილის ჟამს მხურვალე სინანულითა და ლოცვით ეთხოვებოდენ სასიკვდინე სარეცელს. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მღელვარე ზღვაში წამ და უწუმ დანთქმის მომლოდინე გემზე და დაეკითხეთ თავს: შეგიძლიათ თუ არა ამ შემთხვევაში არ თხოვოთ ღმერთს შემწეობა?

მოწინააღმდეგე ახალგაზდა გაჩუმდა და ჩაფიქრებული თვალები ამწვანებულ მდელოს მიაშტერა. მნათემ ყველა ზარებს ჩაპოკრა. თაყმოხდილი ხალხი ხშირი პიჯვრის წერით სასოებით შედიოდა ეკლესიაში. „შეხედე ხალხს! მიუბრუნდა ახალგაზდა გაჩუმებულ თანამობაასეს,— აი ცოცხალი პასუხი შენს კითხვებზე. ლოცვა—ეს უკეთესი და უმაღლესი წუთია მათ ცხოვრებაში. ამაოებით მოქანცული სული აქ ცხოველდება, მაღლდება, ძლიერდება. მწუხარე საყვარელ პირის დაკარგვით, დატანჯული ავათ-მყოფობით, შეიწროებული სილარიბით, დამონებული ძლიერთა მიერ აქ ღებულობს ნუგეშს, აქ მაგრდება სულით. მარად საამქვეყნო საქმეებში გართული სული აქ იხსენებს თავის დანიშნულებას, თავის მოწოდებას. ლოცვა ფრთებია, რომლითაც ადამიანი მაღლდება წუთიერ ცხოვრებაზე, ჰვრეტს უმაღლეს იდეალს და უკვდავ მომავალს უკავშირდება. თუ ბუნებრივ და განმაკეთილშობილებელ მოვლენად მიიჩნიათ პოეზია, რომელშიაც ადამიანი ხატავს თავის იდეალს და გამოსთქვამს თავის გრძნობებს, მაშ რისთვის არაა საჭირო ლოცვა, ეს უმაღლესი და უწმიდესი პოეზია, გამომხატველი ადამიანის უწმიდეს გრძნობათა და მისწრაფებათა!..

ონოფრე მწირი.

ღვთაება ქრისტესი

(შაფფის თხუზულებიდგან „ქრისტე საკვირველება ისტორიისა").

როდესაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს ცეცხლმოდებულ მაყვლის ბუჩქში, უბრძანა მას ფეხთ გაეხადნა, რადგანაც ალაგი, რომელზედაც ის იდგა, იყო წმინდა მაშ როგორი კრძალვით და საღვთო ძრწოლით უნდა შეუდგეთ ჩვენ დიადი სინამდვილისღვთის ხორციელად მოსვლის-განხილვას, რომელთანაც მოსეს ხილვა იყო მხოლოდ აჩრდილი და მოსწავება.

ცხოვრება და ხასიათი იესო ქრისტესი არის ჭეშმარიტად წმიდა წმიდათა მსოფლიო ისტორიისა. განვლო უკვე თვრამეტმა საუკუნემ, რაც აღსრულდა ჟამი და ქრისტე მოვიდა ქვეყნად დაცემულ კაცთა ნათესავის გამოსახსნელად ცოდვისა და სიკვდილისგან და ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს აღმოსაცენებლად. ათას წლობით ქვეყანაზე მოელოდნენ მის მოსვლას, როგორც ყოველთა ერთა სასოებას და ათასნივე წელნი მიუთხრობენ მისს ძლიერ მეუფებას. მთელი ქვეყნის უკეთილშობილეს

და უმჯობეს კაცთათვის ის არის საგანი არა მარტო უწმიდესი სიყვარულისა და უწრფელესი მადლობისა, არამედ საგანი ღვთაებრივი თაყვანის ცემისა და გაღმერთებისაც. მისი სახელი ყველა სახელზე უმაღლესია, რომლის წოდებაც კი შეიძლება ცათა შინა და ქვეყანასაზედა, ეს არის ერთად ერთი სახელი, რომელშიაც ცოდვილს შეუძლიან ჰპოვოს ნეტარება. იგი არის მიზეზი ახალი ქმნილებისა, გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. იგი არის წინასწარმეტყველი, მღვდელმთავარი და მეუფე განახლებული კაცობრიობისა; იგი არის ემმანუილი, ღმერთი ჩვენთანა, საუკუნო სიტყვა ხორცშესხმული, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, განუყოფელი პიროვნებით, მაცხოვარი სოფლისა.

ეს შეადგენს მთელი საქრისტიანო ეკლესიის სარწმუნოების საგანს, ბერძენთა, ლათინთა და ევანგელიელითა, განათლებული ქვეყნის ყველა მხარეებში. რაც უნდა დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთისგან სხვა და სხვა აღსარებანი, სხვა და სხვა საზოგადოებანი სწავლით და წესრიგით, ქრისტეს სიყვარულსა და თაყვანისცემაში ყველა ისინი თანახმანი არიან. იგინი ყრიან იარაღს, როცა უახლოვდებიან ბეთლემის ბაგას, ან ჯვარს გოლგოთაზე, საცა დაიბადა და მოკვდა ქრისტე ჩვენი ცოდვებისთვის, რათა ჩვენ მოგვანიჭოს საუკუნო ცხოვრება ზეცას. ის არის საღვთო შერიგება კაცთა ყოველ გვარ სექტებისა და აღსარებისა, საზოგადო შუაგული ალაგი ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანეთა, ალაგი, საცა ერთდებიან მათნი გულნი სიყვარულით, ლოცვით და სასოებით, ივიწყებენ ყოველგვარ აზროვნულ უთანხმოებათა თეორიებსა და შეხედულობებსა. სწავლა-მოძღვრება და დადგენილებანი, ღვთის მსახურება და წესები, მეცნიერება და ხელოვნება მთელი საქრისტიანოსი გამოსახვენ იმ წარუხოცელი შთაბეჭდილების მოწმობას, რომელიც მოახდინა ქრისტემ ქვეყანაზე. აურაცხელი სიმრავლე ტაძართა არის, აგრეთვე, ცოცხალი სამადლობელი ძეგლი მისი წმიდა სახელისა და ათასი ქებითი საგალობელნი, აღმავალნი მისდამი ქვეყნის თითეული კუთხის საზოგადო სამლოცველო ადგილებიდან და წყნარი სენაკებიდან, მარადღე ადიდებენ მას. იგი ეხლა უფრო ძლიერია, მისი სუფევა ეხლა უვრცელესია უწინდელზედ და უფრო გავრცელდება, ვიდრე ყველა ერნი მოიდრეკენ მის წინაშე მუხლს და ეამბორებიან მის სიმართლის და მშვიდობის სკიპტრას.

ნეტარია, ვისაც ძალუძს ირწმუნოს, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა და წყარო ნეტარებისა! ჭეშმარიტი სარწმუნოება არ არის ბუნების საქმე, არამედ საქმე ღვთისა, რომელიც მოქმედობს კაცის სულზე სული წმიდით, რომელმაც გამოგვიცხადა ჩვენ ქრისტე მისი ჭეშმარიტი არსებით, როგორც ქრისტემ გამოგვიცხადა მამა. „არა სისხლთა და ხორცთა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან“, უთხრა იესომ პეტრეს, როცა მან დაუმოწმა თვისი დიდებული აღსარება. სარწმუნოება თვისი განმანათლებელი და მაცხონებელი ძალით არ არის დამოკიდებული მეცნიერებაზე და სწავლაზე. ის ერთნაირი სიადვილით აღენთება, როგორც მცირეწლოვანი ბავშის, ისე უმეცარ მონის გულში. განსაკუთრებული დიდება მაცხოვრისა და მის სჯულისა გამოიხატება იმაში, რომ ის ერთნაირად ეპყრობა ყველას განურჩევლად სქესისა, ჰასაკისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა; მისი მაცხოვნებელი მადლი ეფინება ყველა მონანულს და მორწმუნეს. „რასაც ვერ ხედავს ვერცერთი გონება გონიერთა, ის შეითვისების ყრმის გულის სიმარტივით“.

გარნა ეს ფაქტი არ უარყოფს აზრისა და დამტკიცების საჭიროებას. განცხადება არის ზესთაბუნებრივი საქმე, რომელიც აღემატება გონებას, მაგრამ იმავე დროს ის არ-არის არაბუნებრივი და არა ხდის შეუძლებლად გამოკვლევას. პირიქით, ბუნებრივი და ზესთაბუნებრივი ორივე ერთად შეადგენენ ერთ განცხადებას და ღვთის მართველობას. ქრისტიანობა ერთგვარად აკმაყოფილებს ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი კაცის, როგორც ულრმეს გონებრივ, ისე ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს. იგი არის განცხადება ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა.

სარწმუნოება და ცოდნა არ შეადგენენ ერთმანეთის მოწინააღმდეგობას, არამედ ერთმანეთის შემავსებელ ძალებს, არა მტრებს, არამედ ერთმანეთის განუყრელ მარჩბივ დებს. სარწმუნოება არა თუ მხოლოდ წინ უძღვის ცოდნას, არამედ აუცილებლად მიჰყავს კაცი ცოდნისადმი. მეორე მხრივ ნამდვილი ცოდნის ფესვი ყოველთვის დამარხულია სარწმუნოებაში, იგი დაფუძნებულია მაზედ, დამხმარეა თვით სარწმუნოებისა. ცოდნას და სარწმუნოებას ესე შეერთებულად ვპოვებთ ჩვენ პეტრე მოციქულის დიდებულ აღსარებაში, როცა ის ყველა მოციქულთა სახელით აღიარებს: „ჩვენ გვრწმენა და გვიცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე“. დიახ, ისინი ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ ნეტარი ავგისტინეს, ანზელმის და შლეერმახერის ნათქვამი: „სარწმუნოება წინ უძღვის ცოდნას“-ო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ესრე: „ცოდნა წინ უძღვის სარწმუნოებას“, რადგანაც არ შეგვიძლიან ვირწმუნოთ რამე, თუ საზოგადო ისტორიული წარმოდგენა მაინც არა გვაქვს მის ყოფნასა და არსებობაზე. სარწმუნოება თავისი უმდაბლესი ფორმითაც კი, როგორც დამორჩილება ღვთაებრივი ავტორიტეტისა, ცნობა მისი განცხადების ჭეშმარიტებისა- იმოდენადვე არის მოქმედება სულისა და გონებისა, რავდენადაც ნებისა და გულისა. ამიტომ სარწმუნოების უწინდელ განმარტებას შეადგენდა შემდეგი სამი მუხლი: ცოდნა, თანხმობა და დარწმუნება. ჩვენი სარწმუნოება მოითხოვს არა ბრმა, არამედ შეგნებულ და გონიერ რწმენას და რაც უფრო ძლიერია და მხურვალე ის, მით უფრო მეტი სიმარჯვით შეჰყავს კაცი თვის საუკუნო და წმიდა შინაარსის ღრმა შეგნებაში.

როგორც ცხოველი სარწმუნოება ქრისტესი არის სული და შუაგული ქრისტიანობის პრაქტიკული მხრისა და ყოვლისავე კეთილ მსახურებისა, ისრევე ნამდვილი სწავლა ქრისტეზედ არის სული და გული ყოველი სალი ღვთისმეტყველებისა. წმიდა იოანე ღვთის ძის კაცობრიობას უარყოფას ანტიქრისტეობის ნიშნადა სთვლის და, მაშასადამე, ამ ჭეშმარიტების რწმენა მას მიაჩნია ქრისტიანობის მთავარ ნიშნად. განხორციელება საუკუნო სიტყვისა და ღვთაებრივი დიდება, მანათობელი მის კაცობრიობის ფარდიდგან, შეადგენს დიდ თემას მისი სახარებისას, რომელიც იოანემ, როგორც იესოს საყვარელმა მოწაფემ და ერთგულმა მეგობარმა, დასწერა ქრისტეს გულის გავლენისქვეშ ანგელოზის კალმით. სამოციქულო აღსარება სარწმუნოებისა, გამოთქმული პეტრეს სიტყვებში, განსაკუთრებული ძალით აწინაურებს სწავლას ქრისტეზე და აყენებს მას მამა-ღმერთზე და სულიწმიდაზე სწავლის შუა. ძველი მსოფლიო ღვთისმეტყველების განვითარება დაიწყო და გათავდა ძლევა-მოსილი დაცვით ამ სწავლის უმაღლესი წერტილისა ქრისტეს ჭეშმარიტ ღვთაებაზე და კაცობაზე. ამ ღვთის მეტყველებამ გაუძლო ურიათა და ევიონიტთა მაწვალებლობის ბრძოლას, რომლებიც უარყოფდნენ ქრისტეში ღვთაებას და წარმართულ გნოსტიციზმს, რომელსაც იესო ქრისტეს კაცობა მიაჩნდა მხოლოდ მოჩვენებათ აჩრდილათ. ღვთისმეტყველება თვისი ნამდვილი და შეუმლელი სახით არის ქრისტელოგიური ღვთისმეტყველება და წარმოადგენს სწავლას ქრისტეზე, როგორც ღმერთ-კაცზე; ეს იდეა არის ჭეშმარიტად წევრი როგორც მტკიცე, ისე რყევად ეკლესიისა. სიტყვა ქრისტესი არის ნამდვილი სარწმუნო სახელმძღვანელო ჭეშმარიტებისადმი; საქმე ქრისტესი არის ერთად ერთი მარად მიმდინარე და დამაკმაყოფილებელი წყარო ქვეყნისა.

ქრისტეს პიროვნებაზე სწავლის მოთხრობა ჩვენ შეგვიძლიან დავიწყოთ ზევიდან, თანახმად წმ. იოანეს სახარების შესავალისა, ქრისტეს საუკუნო შობიდან, განვლოთ შექმნა და ძველი აღთქმის მომზადებითი სახლთშენება, ვიდრე მივიდოდეთ მის განხორციელებამდე და მის ჭეშმარიტ კაცობრივ ცხოვრებამდე კაცთა ნათესავის საცხოვნებლად. ან ჩვენ შეგვიძლიან, სხვა მახარებლებთან ერთად, დავიწყოთ ქრისტეს შობიდან მარიამ ქალწულისგან, განვლოთ თანდათან ერთმანეთის მიმყოლი საფეხურები მისი ქვეყნიური ცხოვრებისა, მისი სიტყვებისა, და სასწაულებისა, ვიდრე ავიდოდეთ მის

შესვლამდე ზეციურ დიდებაში, რომელიც მას აქვნდა უწინარეს ქვეყნის დაბადებისა. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივე იქნება, სახელდობრ, რომ ქრისტემ შეაერთა თავის პიროვნებაში სისრულე ღვთაებისა და სრული სავსება უცოდველი კაცობისა.

ძველი დროის ღვთისმეტყველები იესოს ღვთაებას მეტ ნაწილად ამტკიცებდნენ სასწაულებით, რომლებსაც ის იქმოდა, წინასწარმეტყველებით და მომასწავებელი ნიშნებით, რომლებიც მან აღასრულა, საღვთო სახელით, რომელსაც ის ატარებდა და საღვთო თვისებებით, რომლებიც მას ეკუთნიან და ღვთაებრივი დიდებით, რომლის უფლებაც მას ჰქონდა, რომლითაც ადიდებდნენ მას მოციქულები, რომლითაც ადიდებს მთელი საქრისტიანო ეკლესია დღევანდლამდე.

მაგრამ ამის (იესოს ღვთაების) დამტკიცება შეიძლება სხვა გზითაც—ქრისტეში კაცობის სისრულეთა განხილვით; ურწმუნო მხარეც თანახმაა, რომ ქრისტეს კაცური სისრულენი ისე აღემატებიან ქრისტემდე და მის შემდეგაც სრულ კაცობრივ დიდებას, რომ მათი გონივრულად ახსნა შეიძლება მხოლოდ ღვთაების და კაცობის ჭეშმარიტ შეერთებით, თანახმად თვით ქრისტეს და მოციქულთა მოწმობისა ამის შესახებ. რაც უფრო ღრმად ვეკრეტთ ჩვენ ძის ხორციელ ფერდას, მით უფრო ახლო ვხედავთ მხოლოდშობილი ძის დიდებას, მამისგან აღვსილს მადლითა და ჭეშმარიტებითა.

ამ გვარი პატივისცემა მაცხოვრისა არის შედეგი ახალი ღვთისმეტყველების სამსახურისა. მაგრამ ძლიერი და ვერაგული თავდასხმა თანამედროვე ურწმუნოებისა სახარების ისტორიის სინამდვილეზე სწორეთ ამიტომ ითხოვდა მის უფრო ძლიერ დაცვას და (ამ დაცვამ) მიანიჭა კიდეც ახალი გამარჯვება ეკლესიის ძველ რწმენას მისი საღთო თავისადმი

ჩვენი გუმანისტური, კაცთ მოყვარული, მაგრამ უარმყოფელი დრო უფრო ითვისებს ქრისტეს ღვთაების დამტკიცებას კაცობიდან ვიდრე ძველ დოლმატურ მეთოდს, რომელიც სხვა გზით მიდიოდა. თომასთან ერთად, რომელიც არის წარმომადგენელი პატივსაცემი და შეგნებული ეპვისა მოციქულთა შორის, ბევრნი უარს ამბობენ უფლის ღვთაების რწმენაზე, ვითომც იმ საფუძვლით, რომ ისინი რწმუნდებიან აქაში მხოლოდ თავის გრძნობათა მოწმობით, ან საფუძვლიანი საბუთებით. მათ სურთ შეახონ თითნი თვისნი წყლულთა მათ სამსჭვალთასა და ხელნი მის გვერდებს, ვიდრე მოკრძალებით იტყოდნენ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“.ო! ისინი ადვილად არ ირწმუნებენ სასწაულებს განყენებითი მსჯელობების ან ისტორიული მოწმობების საფუძვლით; მაგრამ მათ რომ შეეძლოთ ერთხელ მაინც იხილონ დიდი სასწაული—პიროვნება ქრისტესი, მისი საკვირველი საქმეები სულაც არ დააბრკოლებდნენ რწმენას, რადგანაც ზეკაცობრივმა არსებამ უთუოდ საქმეებიც ზეკაცური უნდა ქმნას, არა ჩვეულებრივმა, საკვირველმა პირმა საქმენიც არა ჩვეულებრივნი უნდა ჰქმნას; წინააღმდეგ შემთხვევაში უდიდესი სასწაულიც კი არაბუნებრივი იქნებოდა. როგორც ხეა, ნაყოფიც ისეთია. ჩვენ გვწამს ქრისტეს სასწაულები, მიტომ რომ გვწამს მისი პიროვნება ღმერთ-კაცისა და შუაგული ზნეობითი ქვეყნის სასწაულსა.

ჩვენ ვეცდებით ყველასთვის გასაგებად და დალაგებით გავარჩიოთ და წარმოვადგინოთ ქრისტეს კაცური არსება. ჩვენ ვაჩვენებთ იესოს როგორცს კაცს ნაზარეთით, ვაჩვენებთ როგორ, განცხადდა ის უსწავლელ და პატიოსან გალილეველ მეთევზურთა ცნობებით, როგორ სცხოვრობს ის ქრისტიანობის რწმენით და ჩვენ ვნახავთ, რომ ცხოვრების ყოველ მდგომარეობაში, როგორც საზოგადო ისე კერძო მოღვაწისა, ისე მაღლა მდგომარედ და ისე სრულად, რომ სწორეთ ეს სისრულე არა სრულ და ცოდვილ ქვეყანაზე წარმოადგენს მისი ღვთაების დაურღვეველ საბუთს

საგნის უფრო ვრცლად განხილვისთვის საჭირო იყო განგვეხილა ქრისტე, როგორც საზოგადოებრივ ისე პირად მოქმედებაში: ჩვენ უნდა წარმოგვედგინა იგი, როგორც მოძღვარი, სასწაულთ-მოქმედი და დამაარსებელი სულიერი სამეუფოსი, რომელიც არ განისაზღვრება არც დროით, არც სივრცით. ყვე-

ლა ეს ერთსა და იმავე შედეგთან მიგვიყვანდა. მაგრამ ჩვენ აწინდელი ჩვენი მიზნისთვის ვიკმარებთ მხოლოდ იესოს პირადი ხასიათის განხილვას და ეს, იმედია, საკმარი იქნება იმავე შედეგის მისაღწევად.

ნარკვევი.

სამოქალაქო წესით ქორწინება და ფინლიანდიელი ქალები.

ფინლიანდიის სეიმში შეუტანიათ მოთხოვნილება (პეტიცია) ფინლიანდიაში სამოქალაქო წესით ქორწინების შემოღების შესახებ. ფინლიანდიაში სომოქალაქო წესით ქორწინების და კანონების აუცილებლობას ასაბუთებენ მით, რომ ყველა დასავლეთ სახელმწიფოებში, გარდა ბელგიისა, შემოღებულია სამოქალაქო წესით ქორწინება, ფინლიანდია კი ამ მხრით ჩამორჩენილ მხარეთ აღმოჩნდა.

ვინაიდგან ფინლიანდიელები მიისწრაფებიან მოწინავე ხალხათ გახდენ, ამიტომ ელიან სამოქალაქო წესით ქორწინების კანონს; ისინი უკვე ველარ ითმენენ იმ წესს ქორწინებისას, რომელიც განისაზღვრება არსებული კანონით. (Kansan Tahto №69-1910г.).

ამ პეტიციას მჭიდრო კავშირი აქვს ფინლიანდიის სოციალისტ ქალთა კრებასთან, რომელიც მოხდა წასულ შემოდეგზე და რომელზედაც გამოიტანეს ორ გვარი რეზოლიუცია. უმრავლესობამ მიიღო ამდაგვარი დადგენილება: „ქორწინების იძულებითი ფორმა, როგორი სახითაც უნდა იქნეს იგი, მოსაწონი არ არის, ქორწინება უნდა იქნეს აღიარებული ყველასათვის კერძო საქმეთ, მიუხედავათ იმისა, ერისკაცისაგან იქნება იგი შესრულებული, თუ სასულიერო პირისაგან (პასტორისაგან). უმცირესობის აზრით უნდა იქმნეს იძულებითი ქორწინება-სამოქალაქო წესით მაინც, რასაც ასაბუთებენ მით, რომ თუ იძულებითი ქორწინება არ იქნა, ქმრები ბევრ ცოლებს გაიჩენენ და ხშირათაც გამოიცვლიან.

ამ ნაირათ უმცირესობის რეზოლიუცია გამოიხატა შემდეგ ფორმაში: სინდისზე ძალდატანება, რაც ეხლა ხდება ქორწინების დროს, სამარცხვინოა განათლებული ხალხისთვის და უნდა იქნეს შეცვლილი, რის მაგივრათაც შეძლების და გვარათ შემოღებულ უნდა იქმნეს სავალდებულოთ ყველა მექორწინე მოქალაქეთათვის სამოქალაქო წესით ქორწინება. (Kanson Talto № 210—1909 г). როგორც სჩანს პეტიციას საფუძვლათ დასდებია ეს უკანასკნელი რეზოლიუცია ფინლიანდიის სოციალისტ ქალთა კრებისა.

უმრავლესობა ფინლიანდიის სოციალისტ ქალთა კრებისა უცხადებს წინააღმდეგობას იძულებით ქორწინებას სამოქალაქო წესისას არა უსაფუძვლოთ, მიიღებს რა მხედველობაში ცხოვრებას (პრაქტიკას).

ფინლიანდიის გაზეთებში არის ხოლმე მოთავსებული განცხადებები ცოლებისაგან იმის შესახებ, რომ ქმარი წასული სხვაგან, ერთი წლის განმავლობაში უსათუოთ უნდა დაბრუნდეს ცოლთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი (ცოლი) გაჰყვება სხვას.

ზოგიერთი ცოლი კი ერთი წლის ვადასაც არ აძლევს ქმარს დაბრუნებისთვის. გაზეთ „Kausan Tahto, № 210-1909 წ. ჩვენ ვკითხულობთ განცხადებას: ჩემი ქმარი სამპა ისოიარვი ან დაბრუნდეს მალე ჩემთან ან და გამომიგზავნოს განშორების ნებართვა, რომ მისი ადგილი დაცლილად გამოაცხადო მანემდის, სანამ შემოდეგი გაფანტავდეს ყველა ზაფხულზე ჩემ მადმერთებელთ. ჰელმა ისოიარვი ულეაბორგი.

ამიტომ ცხადი მისახვედრია, რომ ესეთ მოწინავე ხალხს, როგორც ფინნები, ძნელათ შეუძლია შეურიგდეს ეკკლესიურ კანონით ქორწინებას.

„Россія“ № 1339-1910 წ.

როგორც მკითხველი დაინახავს ზემო მოყვანილი ნარკვევიდგან ვანქორწინება და თავის ნახევრის ადვილი დათმობა განათლების გავრცელების მიზეზია და იმის მდგომარეობის მაჩვენებელი. რამდენათ

ერი განათლებულია, ფინლიანდელთა აზრით, იმდენად იგი ზერელედ უნდა უყურებდეს ქორწინებას, წინააღმდეგი მაჩვენებელი იქნება მისი დაქვეითებისა სწავლა-განათლების მხრით. ეს ამავე თავბრუს დასხვევს ჩვენ ახალგაზდობას და ის ფართოდ ისარგებლებს ამ სწავლა—განათლების მაჩვენებელ ბარომეტრით. მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ თავისუფალი მეუღლეობა და განქორწინება ცხოველთა და ველურ ხალხთა თვისებასაც შეადგენს, რომელთაშორის არავითარ სწავლა-განათლებას ადგილი არა აქვს. და უფრო ამათ თვისებას შეადგენს, ვიდრე განათლებულ კაცისას, თუ ამ უკანასკნელს არ უნდა ისევ ტყეს დაუბრუნდეს. მაგრამ საუბედუროთ უნდა დვნიშნოთ, რომ თანამედროვე სარწმუნოებას მოკლებული განათლება ხშირად ეზიდება ადამიანს ტყისაკენ. ეს ჩვენი დროის საბედისწერო განსაცდელია, რომლიდგანაც ადამიანს შეუძლია თავი დაახწიოს მხოლოდ სარწმუნოების ხელმძღვანელობით. ფრთხილად ვიყოთ, რომ ეს ათას სხვა და სხვა მოძღვრებათაგან გაუსიამოვნებული წუთისოფელი ჯოჯოხეთად არ გადაგვექცეს, სადაც მხოლოდ ეშმაკებს გაუძღებინება.

რაც შეეხება კერძოდ საეკლესიო ქორწინებას, იგი ვერ დაუთმობს კაცთა დაუდგრომელ გულის თქმას და სიბოროტეს, თუ იგი წმიდად არ იქნება დაცული, თუ მცნება ქრისტესი განქორწინების შესახებ დაურღვევლად არ შეინახება, და, იგორის თანამედროვე ცივილიზაციამ გახრწნილების ორმოში, მაგრამ კარგად იცოდეს, რომ ეს იქნება ტყისკენ დაბრუნება, ეს იქნება გაველურება, გაპირუტყვება, ეს იქნება თავის თავის უარყოფა და გათახსირება.

რედ.

ტელეფონი „სტოკგოლმ-პარიზი“

ლაპარაკი რამოდენიმე ასი ვერსის მანძილზე ეხლანდელ დროში გარდაიქცა ჩვეულებრივ მოვლენად გრეხემ ზელლის გასაკვირველი გამოგონების წყალობით, რომელიც მან გააკეთა 30 წლის წინათ.

მიკროფონით გადიდებული ხმა ელექტრონის ძალის საშვალებით გარბის ლითონის მართულებზედ ს-პეტერბურგიდგან მოსკოვამდე, პარიზიდან-ლონდონამდე, რომიდგან ბერლინამდე და იმ ადგილას სადაც მიიღება, აღედგინება იმავე ძალით და აკცენტით.

ხალხთა საურთიერთთა შორისო ტელეფონის შემოღებას ძლიერ ხელი შეუწყო შვედების ინჟინრების ეგნერის და გუნარგომსტრემის ახალი მიკროფონის გამოგონებამ, რომლის საშვალებითაც გაუკეთებიათ უკვე ტელეფონი სოფელს ზანდსვალსა (შვეციის ჩრდილოეთის საზღვარია) და პარიზს შუა.

პირველი ცდა ამ ახალი მიკროფონის საშვალებით (რომელიც ძლიერ აღემატება თურმე ხმის სიძლიერით ყველა აქამომდე შემოღებულ აპპარ ატებს.) გაუკეთებიათ სტოკგოლმსა და ბერლინს შუა წარსულის 1909 წლის მაისის გასულს და ივნისის დამდეგს, რასაც შედეგი ძლიერ კარგი მოყოლია. 5-9 ივნისს შვედების ინჟინრებს უკვე ტელეფონით ლაპარაკი ქონიათ სტოკგოლმსა და კიოლნს შორის 1500 ვერსტის მანძილზე დაბოლოს 11-12 იმავე ივნისისას ყოფილა ცდა ტელეფონით ლაპარაკისა პარიზსა და სტოკგოლმს შორის 2200 ვერსტის მანძილზე. ხმის გადაცემა ყოფილა გასაკვირველი.

სტოკგოლმ-პარიზის ტელეფონისთვის, რომელიც გაივლიდა ფრანკფურტს, გამბურგს და კოპენგაგენს, მიუმატებიათ კიდევ ზუნსკალი, 600 ვერსტის სიშორე. ამასთანავე აღსანიშნავია ის რომ მოლაპარაკეს ხმა პარიზიდან 2800 ვერსტის მანძილზე ზუნდკალში მშვენიერად გაუგონიათ.

აქედგან სჩანს, რომ ეხლა თითქმის არაფერი არ უშლის ხელს პარიზსა და ჩვენ სატახტო ქ. პეტერბურგს შუა, დადგინდეს და მოეწყოს ტელეფონით ხმის გადაცეცემა.

ყველაზე უმფრო საყურადღებო ის არის, რომ შვედების ინჟენრებს ეგნერსა და გუნნარ-გოლმსტრემს უშინჯავთ თავიანთ ახლად გამოგონილი მიკროფონი უმართულო ტელეფონის მოსაწყობათ. პირველი ცდა მათ მოუხდენიათ დანიის ინჟენერთან ვალდემარ რაუსელთან ერთათ (უკანასკნელი ცნობილია შესანიშნავი მუშაობით უმავთულო ტელე-

ფონზედ. 1. მიკროფონს, რომელიც დაუდგამთ ლინგმში, გადაუცია ცხადი ხმები ესბიერკში (დანიაში). ამ ორ აღნიშნულ ადგილთა შორის ყოფილა მანძილი 280 ვერსტი ლაპარაკის ხმის გადაცემა ყოფილა სამაგალითო გარკვევით.

ამ ახალი გამოგონების შემდეგ მოსალოდნელია, რომ მალე დადგინდეს პირდა პირი ლაპარაკი ყველა სამეფოთა შორის.

(Россія № 1327-1910).

ᲪᲝᲚᲘ-ᲥᲛᲠᲝᲑᲐ.

დასასრულ ორიოდე სიტყვას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რას უფრო აქცევენ ყურადღებას ახლა, ჩვენ დროში, ცოლის შერთვის დროს და რას გამოელიან ქორწინებისაგან ზოგიერთნი.

ზოგნი ქორწინდებიან მისთვის, რომ შვილები, მემკვიდრეები ეყოლოსთ და თუ შვილი არ ეყოლათ დიდ დარდში და მწუხარებაში ვარდებიან. ცოლებს კაი დღეს არ აყენებენ. ხშირად რაიმე მიზეზს გამოიგონებენ, ბრალს დასდებენ, რომ თავი განითავისუფლონ და შეძლება მიეცესთ სხვა შეირთონ, რომ მისგან მიეცეთ შვილები. მაგრამ რა შუაშია ცოლი, როცა მას შვილი არა ყავს? შვილის ყოლა უფრო ღმერთზეა დამოკიდებული; ეგებ ქმარზე უფრო ცოლი სწუხს, რომ უძეოთ რჩება, და ხშირადაც ასეა, მაგრამ რა ქნას? მას ნუგეში უნდა სცეს ქმარმა ისე, როგორც ელკანმა სცა ნუგეში თავის ცოლს ანნას, უშვილობისაგან შეწუხებულს. „რქვა მას ელკან ქმარმან მისმან: ანნა, რაი, არს შენდა, რამეთუ სტირ, არა რასა სჭამ და რაისათვის იცემ მკერდსა შენსა, არა ვარ მე უმჯობეს შენდა უფრთს ათთა ძეთა?“ (1 მეფ. 1, 8). რასაკვირველია, თუ მოსარჩენია, აქიმობს საჭიროებს, უნდა იწამლოს, ამისათვის არც დრო და არც ხარჯი არ უნდა დაზოგოს, მაგრამ თუ არც წამლები და რაიმე სხვა საშუალება არ მიუდგება, ისეთი აგებულობის არის, რომ შვილი არ მიეცემა, ძალათი ხომ ვერ შობს? კაცმა ამისთვის არ უნდა ინალვლოს და უმთავრეს მიზნათ ქორწინებისა მას არ უნდა ქონდეს ტომის, შთამომავლობის გაგრძელება. ასე რომ იყოს, ვინ იცის, რამოდენ ცოლქმარს დასჭირდებოდა ერთმანეთის მიტოვება. მადლობა ღმერთს! ისედაც ძლიერ მრავლდება კაცობრიობა; ადგილებსაც ველარ შოვილობენ დასასახლებლად. ადგილმამულისათვის მეზობელი მეზობელზეა, სახელმწიფო სახელმწიფოზეა ამხედრებული, გადამტერებული; მათ შორის ომი, სისხლის ღვრაა დაუსრულებელი და განუწყვეტელი. და თუ მაინცა და მაინც გსურს, ძმაო ჩემო საყვარელო, საკუთარი მემკვიდრე გყავდეს, განა ცოტანი მოიძებნებიან უპატრონო-უდედმამონი, ყოვლად ნიჭურნი და ჯანსაღნი ბავშვები? აიღე და იშვილე, რომელიც გინდა. ცხოვრებაში გამოცდილია, რომ შვილობილები უფრო პატივისმცემლები გამოდიან, უფრო ხედავენ და აფასებენ ამაგს, მათზე დათესილს, და ცდილობენ სამაგიერო გადაუხადონ თავიანთ აღმზრდელებს, დედმამის მაგიერობის გამწევლებს, ვინემ ნამდვილი შვილები, რომლებიც მოვალეთ სთვლიან დედმამას მათზე დახარჯონ, რაც კი შეუძლიათ და არ შეუძლიათ; სიბერის, ან ავადმყოფობის დროს კი ყურადღებასაც არ აქცევენ. დაფიქრდი ძმაო ჩემო, იქნება თვითონ შენ ხარ უშვილობის მიზეზი? ხშირად, ძალიან ხშირად აქცევენ ყურადღებას მზითევს, ქრთამს. ღარიბია საქმრო, ფიქრობს გამდიდრებაზე, სიღარიბისაგან თავის დახწევაზე. მდიდარია, უნდა კიდევ მეტი სიმდიდრე შეიძინოს. მაგრამ ბევრჯერ მდიდარი ცოლის შერთვას დაუღუპნია კაცი. ერთი რომ, ვისაც ბევრი მზითევი აქვს მოყოლილი, ისე დიდგულად ეპყრობა თავის ღატაკ ქმარს, როგორც მონას. ბრძანების კილოთი ელაპარაკება მას, არაფერს არ ეკითხება, რაც უნდა, იმას ყიდულობს; სჭამს, სვამს და იცვამს თავის გემოვნებაზე, თავისუფლათ ცხოვრობს, საიოკენ და ვისთანაც უნდა, იქ მიდის, მოვალეობათ არა სთვლის რამეზე ქმარს დაეკითხოს და მისგან ნებართვა აიღოს, ე. ი. ცოლ-

ქმარშუა ისეთი დამოკიდებულობა მყარდება, რომ მათი დიდხანს ერთად ყოფნა ძლიერ საძნელოა. კერძოობითი ქონება დიდ ვნებას აძლევს, ძალიან ასუსტებს ცოლქმრობის კავშირის სიძლიერეს. რომში ნაბრძანევი იყო ერთ დროს, რომ ცოლმა და ქმარმა ერთი მეორეს საჩუქრები არ უნდა მიუტანონო, რომ ყოველივე მათი ქონება ორთავესი საზოგადო ყოფილიყო და ერთმანეთში არ ყოფილიყვნენ, როგორც კერძო თანამონაწილენი. ცოლქმარნი ისე უნდა იყვნენ გაერთიანებულნი, რომ არასფერი სათავთავისო არ უნდა მოეპოვებოდესთ მათ. ყოველივე საბადებელი მათი განუყოფელი უნდა იყოს; არ უნდა თქვან: „ეს ჩემია და ეს შენი“-ო „სიყვარული არ ეძიებენ თავისსა“, ამბობს პავლე მოციქული (1 კორ. 13, 5). ხშირად ისიც ხდება, რომ ვისაც ბევრი მზითევი მიეცემა ხოლმე, ზარმაცობას და დროების გატარებას ანდომებს თავის წუთისოფელს. თავისი თუ რამე გააჩნია, ჩქარობს, როგორმე მალე დახარჯოს; დაიმედოვნებულია მერე ცოლის მზითევს მიყოფს ხელს, მაგრამ რამოდონჯერ მომხდარა, ცოლს ქმრისათვის არ დაუნებებია დასახარჯავათ რაიმე თავის მზითევიდგან. გარდა ამისა, შეიძლება ცოლი ადრე კვდება, ისიც უშვილო, მზითევი მისი მის ნათესავებს უბრუნდებათ და ქმარი, რომელმაც ამ მზითვის იმედით სულ მიახარჯა, რაც რამ ებადა თავისი, ულუკმაპუროთ რჩება. ამისათვის ძმაო ჩემო „საყვარელო, ცოლის შერთვის დროს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ სასძლოს სიმდიდრეს. უნდა იცოდე, პატიოსანი ცოლი, თუნდაც ღარიბი, უკეთ გაგატარებიებს ცხოვრებას, ვინემ მდიდარი და მასთან უხასიათო.

„ნუ შეუვრდები შვენებასა ზედა დედაკაცისა“ გვარიგებს ისო ზარაქი (25, 18—29). მაგრამ, მგონი, ცოლის შერთვის დროს კაცი ისე არაფერს აქცევს ყურადღებას, როგორც გარეგნულ სილამაზეს ქალისას. მაგრამ ხორციელ სილამაზეს თუ ზედ არ დაერთვის სულის სიმშვენიერე, უფრო ბევრი ვნების მოტანა შეუძლია, ვინემ სარგებლობა. დიდი, დიდი ორი—სამი წელიწადი იქნეს კაცი ცოლის გარეგნული სილამაზით გატაცებული, მერმე კი რამოდონათაც მოსწონდა, იმოდონათ ზიზღსა გვრის, თუ იგი მოკლებულია სულიერ სიმშვენიერეს; უკანასკნელი კი თან და თან იზიდავს კაცის გულს და რაც ხანი გადის, იმოდონათ უფრო და უფრო მეტიდროდ აკავშირებს მათ და უნერგავს მათ ერთმანეთისადმი სიყვარულს. მამათმთავარმა აბრაამმა კარგი მაგალითი გვიჩვენა ჩვენ; როცა მან მოინდომა შვილის ისააკის ცოლის შერთვა, დაქორწინება, მოიხმო უერთგულესი მოსამსახურე ელიაზარი და გაგზავნა, სადაც ეგულებოდა, იმედოვნებდა იპოვნიდა შესაფერ სასძლოს. განა ცოტა იყვნენ ქანაანის ქვეყანაში მდიდრები და ლამაზები გასათხოვარი ქალები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოინდომა რძლათ მიეყვანა, რმდგან დარწმუნებული იყო მათ უკულმართ აღზრდაში. რამოდონი დედები ცდილობენ ბანვით, სხვადასხვა წასასმელებით, ფერუმარილით გააფაქიზონ ქალიშვილების პირისახე, ხელები, რომ მათ გარეგნულმა შეხედულობამ იმოქმედოს კაცის გულზე? სულიერ სიმშვენიერეს კი ყურადღებას არ აქცევენ. „ნუთუ ფიქრობთ ქალებო, რომ ჭკვიანი კაცი ნდობის თვალით შემოგხედავსთ და შერთვას მოინდომებს, როცა თქვენ იცვამთ ორპოფეხის მსგავსს წაღებს, ან ტანისამოსს, რომელიც წინ და უკან თავისი ბუფებით ძველებურ ტახტის ფარდას მოგაგონებს, თითქოს იგი მკერავი ქალის კი არა, მეშპალიერეს მიერ იყოს შეკერილი? აბა ვინ უნდა შეგამჩნიოსთ სერიოზული აზრები, როცა თქვენ ბაძავთ და აზვიადებთ ტანისამოსის და იმის მორთულობის ბრიყვულ მოდებს იმ განზრახვით, რომ კაცების ყურადღება დაიმსახუროთ?. თანასწორათ როგორ უნდა ჩაგთვალოს კაცმა, როცა ის გხედავს თქვენ ცისარტყელის ფერ ტანისამოსში? მე თქვენ გარწმუნებთ, რომ კეთილგონიერი ქალებიც ეჭვის თვალით უყურებენ თქვენს საღს აზროვნებას... მიკვირს, როგორ ბედავთ ეხლა დელი ტანისამოსით ქუჩაში გამოსვლას! კისერზე იხვევთ გრძელ ლენტს, რომლის თავები თქვენს უკან დაფრიალებენ; ეხლანდელი თქვენი ტანსაცმელი გოგრის მსგავს თავმორთულობიდან და-

წყობილი ჩინურ ჩუსტებამდისინ საფრანგეთის გარყვილ ქალების მოგონილია, თქვენ კი თავი მოგწონსთ, რომ მათ ჰბაძავთ და კიდევაც წინ გაასწარით; ყოველ გამვლელ გამომლელს ვნებებს უშლით აკრელებული, აფერადებული ტანისამოსით, მერმეთ კი გეშინიათ, და როგორც ბავშვები, უჩივით თქვენსავე მოუფიქრებელ საქციელის აუცილებელ შედეგს. სჩივით ქალიშვილს მარტოკა ქუჩაში გავლა არ შეუძლიან, შეურაცხყოფას აყენებენ, სდევნიანო და სხვა. ეს, ბატონო იქიდგან, წარმოდგება, რომ როგორც უნამუსო, ისე ნამუსიანი ქალები ერთნაირად ირთვებიან ზიზილ-პიპილეებით; ძნელია მათში გაარჩიოს კაცმა, ვინ როგორი ცხოვრებისაა და ხშირად ერთი მეორეში ურევენ და ერთნაირად ექცევიან". მადლობა ღმერთს, რომ იმას სწერს ქალი და მით ამ სიტყვებს ერთი ორად მეტი მნიშვნელობა უნდა ქონდესთ და უნდა იმოქმედონ ქალებზე. განათლებული ქალი ყოველთვის უზრდელობად სთვლის მორთულობით თავის მოწონებას ქუჩაში. გარდა ამისა, რომ ეხლანდელი მორთულობა სათაკილოა, ამასთანავე იგი არის ცხოვრებაში უხერხული და ისეთი ძვირი (თუ გინდ ეგრედ წოდებული შლიაპები), რომ ბევრი ოჯახის საშუალებას აღემატება. ჩვენ მუდამ ვხედავთ იმის მაგალითებს, რომ ჩაცმა დახურვა და ფუფუნების სიყვარული ქალებისა ღუპავს, და აღარიბებს ქმრებს და მამებს და ხდება კაცის ბევრნაირი უბედურობის მიზეზათ. ყველამ ვიცით კაცებმაც და ქალებმაც თუ რამოდენათ იყიდება ყოველი დალაქის ფანჯარასთან ეს მორთულობა. ვიცით თუ რამდენ ფულს ხარჯავს რომელიმე ქალბატონი თავის შვენიერ თმებში. ყოველი გონიერი კაცი უნებლიეთ დაიწყებს თვლას, თუ რამდენი დღე, რამდენი თვე უნდა იმუშაოს ქმარმა, რომ ცოლი და ქალიშვილები გამოაწყოს. სამკაულის ტარებას სრულებითაც არ უკრძალავს ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება, მაგრამ როდესაც მისი მოპოვებისათვის, შეძენისათვის ბევრი სისაძაგლე უნდა ჩაიდინოს კაცმა, ბევრს წააგლიჯოს, ბევრგან მოიპაროს, ბევრს უსამართლოდ მოეკიდოს, რასაკვირველია ამნაირად სამკაულთა შეძენა ღუპავს საზოგადოებასძირს უთხრის მის კეთილდღეობას. თუ შეგიძლია, დაო ჩემო საყვარელო, იმოდონი, რომ შენ ქმარს, მამას არ გაუჭირდება ამით და უსვინდისო მოქმედებას ხელს არ მიჰყოფს, შენი გულისათვის სხვებს ცხარე ცრემლით არ ატირებს, ხომ კარგი, თუ არა და რათ გინდა შენ ერთმა რომ გაიხარო, სხვები მრავალნი კი შენი გულისათვის მშიერმწყურვალნი შიშველ-ტიტველნი შეიქნენ. კიდევ მესმის ქალიშვილები როცა ირთვებიან და თავი უნდათ ვისმეს მოაწონონ, მაგრამ ქმარიან ქალებს რაღა აქვთ სახეში! ნუ თუ ტანისამოსით თავის ქმრებს უნდა მოაწონონ თავი? ქმრებმა კარგათ იციან თუ რა სახის და ტანის ბრძანდებიან მათი ცოლები; თუ სხვას უნდათ მოაწონონ თავი, მაშინ ხომ ეს დიდათ საწყენია ქმრებისათვის. ტერტულიანი სწერს: „ქალებო! იყავით დარწმუნებულნი, რომ თქვენ უნდა ცდილობდეთ რეწონოთ თქვენ ქმრებს, იმათ კი მოეწონებით მაშინ როდესაც გატყობენ, რომ არ ცდილობთ სხვას ვისმეს გარეშე ქმრებისა, მოეწონოთ". ორთვე შემთხვევაში მეტი ხარჯი ცოლების მხრივ არაფრით გასამართლებელი არ არის.

უწინ არ ცდილობდენ გარეგნულათ გალამაზებულიყვნენ, მაგრამ მაშინ უფრო ლამაზები იყვნენ სასძლოები, ვინემ ახალა; მაშინ ფიზიკურად მუშაობდენ და ჯანსაღებიც იყვნენ, ახლა კი ერიდებიან ფიზიკურ შრომას, სათაკილოთ მიაჩნიათ, ამისათვის სხეული უფრო ნაზი და ძარღვები უფრო მისუსტებული აქვთ და უფრო ადვილათაც ღელვდებიან. გულისთქმა გაიტაცებს ხოლმე მათ. მგრძნობიერი და წყნარი სინდისით, დიდსულოვანობით, კეთილ და მოსიყვარულე გულით, სიბრალულის მიდევრობით უნდა მოიყვანოს ქალმა აღტაცებაში კაცი და არა ტანისამოსით. ნაცვლად ამ კეთილ სათნოებათა ქალები ცდილობენ სხვა და სხვა ფერუმარულით, ტანისამოსით, სამკაულით დაიმშვენონ თავი, მაგრამ შეიძლება განა გარეგნული სილამაზით ადამიანმა შესცვალოს სულიერი სიმშვენიერე? „რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა"?

(მარ. 8, 39). ათასი კარგი სილამაზით იყოს დედაკაცი შემკობილი, ათასი კარგი სამკაულით გაიმშვენიეროს მან თავისი გარეგნული შეხედულობა, თუ მას აკლია სულიერი სილამაზე, ვერ დაიმსახურებს იგი ქმრის პატივისცემას, სიყვარულს; მით უფრო შესძულდება იგი, რამოდენათაც ცდილობს გარეგნულად კარგად ეჩვენოს და შინაური ბიწიერება დამალოს. რა კარგს უნდა მოელოდეს ქმარი იმ ცოლისაგან, რომლის გული სავსეა ღვარძლით, შხამით, ორგულობით, თუნდაც ძვირფასი აბრეშუმეულობით იყოს იგი (გული) მორთული. რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ქმარი იმ ცოლისაგან, რომლის თავი შემკობილია სხვადასხვა ყვავილებით და ძვირფასეულობით, შიგ კი ჭკუა ვერავული და ცბიერია? ქმარს ზიზღსა ჰგვრიან ყოველივე ეს სამკაულები. პავლე მოციქული სწერს: „გნებავს უკვე დედათა წესიერებისა სამკაულითა მორცხვად და ღირსებით შემკობად თავთა თვისთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროთა, ანუ მარგალიტითა, ანუ სამოსლითა დიდფასისათა, არამედ რომელი იგი შვენის დედათა, რომელთა აღუთქვამს ღმრთისმსახურება საქმეთა მიერ კეთილთა“ (1 ტიმოთ. 2, 9, 10). ტერტულიანი სწერს: „ქალებო იქონიეთ სახეში, რამოდენათაც გარეგნულათ იმკობთ თავს, იმოდენათაც სულიერად უნდა განსპეტაკდეთ და სხვადასხვა სათნოებითა შეიმკოთ სული თქვენი. როდესაც თავს იმკობთ ბრილიანტებით და ყვავილებით, უნდა გაგონდებოდესთ, რომ თქვენ, როგორც ცოლები კეთილნი, გვირგვინნი ხართ ქმრებისა (იგ. 12, 4), როდესაც ძვირფასს საყურეებს იკეთებთ, უნდა გქონდესთ სახეში, რომ ვალდებულნი ხართ, არ შეუშვათ ყურში ისეთი მაცთური სიტყვები, რომლებიც თქვენი ქმრებისათვის დამამცირებელნი არიან. ოქროს ბეჭდები ხელებზე უნდა გაგონებდესთ, რომ ამ ხელებმა მოწყალება უნდა გაიღონ ღარიბთათვის; ძვირფასი ტანისამოსი, ქათიბები უნდა გაგონებდესთ ღარიბ შიშველ-ტიტველ ქალებს“. მხოლოდ მე ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც გარეგნულ, ბუნებრივ-სილამაზეს ეჭვის თვალით მისჩერებია და არავის ურჩევს ლამაზი სახის ადამიანი ცოლათ შეირთონ, რადგან ბევრს იტაცებს იგი და თვითონაც ვერ იკავებს თავს. სილამაზე გარეგნული სრულებითაც არ არის მიზეზი ადამიანის გარყვნილობისა. იოსები გარეგნულად ძლიერ მშვენიერი იყო, მაგრამ მასთან თავშეკავებული, უმანკო ცხოვრების პატრონი. რამოდენი ლამაზი ადამიანია უბიწო ცხოვრების მიმდევარი და რამოდენი მახინჯი სხეულით, რომ სულიერათაც დაცემულია და განხრწნილი. ასე, რომ გარეგნულ სილამაზეს არა აქვს აქ მნიშვნელობა. ვერც იმათ აზრს დავეთანხმები, ვინც გაიძახიან: უწინ ქალები თავს ინახავდენ, შინ ისხდნენ, გარეთ არ დახეტიალობდენ, ახალგაზდა ყმაწვილკაცებს ხშირად ვერ ხედავდენ და თავშეკავებულნი იყვნენო. ასეთი თავშენახულობა ქალისა განა საქებია? ქალი მაშინ არის საქები, როცა მუდამ ტრიალებს საზოგადოებაში, ხშირად ეძლევა შემთხვევა შეცდეს, მაგრამ თავს ინახავს უმწიკვლოთ.

ყოველივე ზემო ნათქვამიდგან ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ პირველი და უმთავრესი საფუძველი ქორწინებისა არის სურვილი ადამიანისა შეავსოს თვისი ხორციელი და სულიერი ცალმხრივობა მეორე სქესის პირთან შეერთებით; სხვა მოსაზრებანი: ან შვილების ყოლა, ან მზითევი, ან კიდევ სხვა რაიმე იმოდენათ უნდა ფასდებოდნენ, რამოდენათაც ხელს უწყობენ ამ სურვილის განხორციელებას; და სადაც პირველი არ არის, დანარჩენები სარგებლობის მაგიერ უფრო ადვილად ვნებას მოუტანენ ადამიანს და მის ქორწინებით კავშირს ხანგრძლივობა არ ექნება.

დეკ. მ. ტყემალაძე.

დაფარული და გამოურკვეველი.

სიზმარი და მისი მნიშვნელობა.

(„ვსელენაიადან.“)

კაცის ტვინი, სიზმარში უფრო მუშაობს ვიდრე ცხადში.

გრაფ გენრიხ სტეცკომ, შემდეგი შკვლელობის მაგალითი გამოაქვეყნა, ერთ ჟურნალში, რომელიც ჩამოჩენილ იქმნა სიზმარის

წყალობით. ქალაქ ტარნოვის მახლობლად, ერთმა შეძლებულმა მემამულემ 600 ფლორინი დაჰკარგა. თუმცა ზარალი მდიდარ მემამულისათვის არც ძალიან დიდი იყო, მაგრამ დაკარგვამ მაინც შეაწუხა. ერთხელ ამ მემამულემ თავის ადგილის მოიჯარადრე ინახულა, რომელსაც ფულის დაკარგვის ამბავი უამბო. იქვე შემთხვევით ერთი ღარიბად ჩაცმული, ჩაძანძული ებრაელი, კოსმინტერი იყო, რომელმაც მემამულეს გამოკითხვა დაუწყო, თუ სად, როგორ ან რანაირი ფული დაეკარგა? მაგრამ იმან თითქმის ზურგი შეაქცია ამ ჩამოძანძულ, თხოვლის მზგავსად ჩაცმულ ებრაელს. ეს უკანასკნელი კი მიუახლოვდა მაშინ ამ მემამულეს და დაკარგული ფული მისცა. მემამულეს ძალიან გაეხარდა მისი ასეთი პატიოსნება და ამ ფულის ნახევარი მისცა. გავიდა ორი კვირა და ღარიბ კოსმინტერს, მემამულე ძილში ნახულობს. იგი მთლად სისხლში იყო მოსვრილი და აყვედრიდა საჩუქარზე, რომელიც მისი სიკვდილის მიზეზი შეიქმნა.

გავიდა ორი კვირა და სიზმარი კიდევ განმეორდა. მემამულემ, ამ სიზმარით განცვიფრებულმა, მოიჯარადრე დაიბარა და შეეკითხა თუ სად იმყოფებოდა ეხლა კონსმინტერი? მოიჯარადრე ამ კითხვაზე გაწითლდა და ფერმა გადაჰკრა. მან მიუგო მემამულეს, რომ კონსმინტერი უბრალო მგზავრი იყო და შეიძლება ეხლა ცხრა მთას იქით იმყოფებოდესო. როდესაც ორი დღის შემდეგ კოსმინტერი კვლავ დაესიზმრა მემამულეს და შეატყობინა, რომ იგი ამ მოიჯარადრემ მოჰკლა, მემამულემ ყველაფერი გამომძიებელს გადასცა. დაჩხრიკეს მოიჯარადრე, რომელსაც მართლა აღმოაჩნდა წართმეული ფული. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, მოიჯარადრე თვითონ გამოტყდა ყველაფერში; იგი გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

*
* *

მესსინის კატასტროფის შემდეგ ერთი შემთხვევა ყოფილა, რომელზედაც ფრანგული გაზეთი „hedina Elena" სწერს. ერთი გემის მეზღვაური დანიშნული იყო ახალგაზდა ქალზე, რომელიც მიწის ძვრის დროს ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა. უმფროსის ნებართვით ეს მეზღვაური ნანგრევების თხრას შეუდგა, რომ ეგებ თავის საცოლესთვის მიეგნო. გავიდა ოთხი დღე და მუშაობამ ტყუილ უბრალოდ ჩაიარა. დაღლილ-დაქანცულმა მეზღვაურმა ოთხი დღის შემდეგ მაგრად დაიძინა და სიზმარში ხედავს თავის საცოლეს, რომელიც უძახის და ეკვედრება მას; „მე ცოცხალი ვარ. მოდი და დამიხსენი!" ო. სიზმრის ზეგავლენის ქვეშ მყოფ მეზღვაურმა ამხანაგებს სთხოვა, რომ ნანგრევების თხრა განეგრძოთ, სადაც მისი საცოლე იყო დამარხული. შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდა! ნანგრევებ ქვეშიდან ამის საცოლე გამოათრიეს, რომელიც მართლა კიდევ ცოცხალი იყო თუმცა. იგი დიდხანს იმყოფებოდა ნანგრევებ ქვეშ, მაგრამ ორგანიზმი სრულებით არ დაშავებოდა ახალგაზდა ქალი, რომელიც ჯერ ისევ ბურუსში იმყოფებოდა, გამოირკვა გამოფხიზლდა და თავის საქმრის გადაეხვია და დაუწყო კოცნა აღმოჩნდა, რომ იგი ნანგრევებ ქვეშ ღრმა ძილში იმყოფებოდა, თავის საქრმოს ნახულობდა და მასთან ლაპარაკობდა. ცხადია რომ ვაჟმა იმ დროს ნახა ქალი სიზმარში, რა დროსაც ქალმა იგი.

*
* *

1894 წელს, შავ ზღვაზე, რუსის საზღვაოსნო ამხანაგობის გემი „ვლადიმირი" დაიღუპა და მასთან ერთად ას კაცზე მეტი, რომელნიც გემზე იყვნენ. დაღუპულთა შორის სიმფეროპოლის აზნაურთა წარმომადგენელი თავადი კაია-ბეი ხუნკალოვიც ერია წასვლის წინ თავად ხუნკალოვმა ნაფიც ვექილ დემაკიუამბო, რომ მას დაესიზმრა, ვითომ ის გემი, რომელითაც ამან უნდა იმოგზაუროს, წყალმა ჩასტორა — მე უსათუოთ ამ ზღვის ტალღათა წერა გავხდები" ო. დაათავა თავისი სიტყვა თავადმა. მართლაც ასე მოხდა იმ გემს რომელზედაც თავადი მოგზაურობდა, სხვა გემი

დაეჯახა, დაიღუპა გემიც და თავადიც. დაღუპული თავადი ხუნკალოვი მთის გამოჩენილ მემამულე თავადთა უკანასკნელი მემკვიდრე იყო, რომლებიც წასულ საუკუნის ბოლოს, ყირიმში გადმოსახლდნენ. ამგვარივე სიზმარი ნახა მისმა მეორე თანა მემამულე ვექილმა შიკ-ნადეჟდინმა, რომელმაც ამის წყალობით თავის მგზავრობა სევასტოპოლიდამ ოდესამდე გადასდო და მით გადაარჩინა ოჯახი დაღუპვისაგან. ამ გვარივე სიზმარი, გემის დაღუპვის შესახებ, ერთმა ჩინოვნიკმა ლ. ი. ლ—მაც ნახა, რომელიც გამოგზანილი იყო გზათა მინისტრისაგან, ნავთ სადგურებთა დასათვალიერებლად. ღამით ლ—ი კვნესოდა ყვიროდა „მიშველეთ“ო და ხელს აქეთ იქით აქნევდა ამ სიზმარმა ისეთი ზეგავლენა იქონია რომელზ, ერთი თვის შემდეგ როდესაც იგი იძულებული იყო სამსახურის გამო, ზღვით ემოგზაურნა, აზრი გამოსთქვა, რომ „უსათუოდ დაიღუპებოდა—როდესაც ჩემი დაღუპვის ამბავი გამცნოს ტელეგრამამ, მაშინვე შავი სამგლოვიარო ტანისამოსი შეუკვეთე— უთხრა ცოლს ლ—მ. ცოლის და საუბედუროდ სიზმარი მართლა აცხადდა.

(შემდეგი იქნება).

კალუათელი ბათლომე

სალამო საბავშო ბაღში.

27 მარტს საღამოს 6 საათზე ქუთაისში არსებულ საყმაწვილო ბაღში გაიმართა საბავშო საღამო. ჯერ ათამაშეს და ამღერეს ყველა მოსწავლეები, შემდეგ ბავშვებმა აასრულეს ერთი რუსული და ერთი ქართული თითო მოქმედებიანი წარმოდგენა და წაიკითხეს ზეპირად რუსულათ და ქართულათ რამოდენიმე ლექსები, ბოლოს დასდგეს ცოცხალი სურათები, ყველაფერში მონაწილეობას ღებულობდენ მარტო იქ მოსწავლე ბავშები (ქალებიც და ვაჟებიც).

საღამოს დაესწრო სახალხო სკოლების დირექტორი დ. ი. სემიონოვი, ბავშების მშობლები და სხვა და სხვა სასწავლებლის მასწავლებლები. უადგილობისა გამო მიწვეულ პირთა რიცხვი განსაზღვრული იყო. დამსწრე საზოგადოებამ მშვენიერი შთაბეჭდილება მიიღო. უმეტესობისთვის რადაც დაუჯერებელი შემთხვევა იყო, რომ ხუთი ექვსი წლის ბავშვები ასე თავისუფლათ, შეგნებულათ და თამამათ ამბობდენ ლექსებს და მოქმედებდენ სცენაზე. დიდი მადლობის ღირსია სასწავლებლის გამგე მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი და მასწავლებლები, რომელთა შრომის ნაყოფი ცხადი და თვალსაჩინო იყო ყველასათვის.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ. რომ ამ სასწავლებელს დიდი თანაგრძნობა არა აქვს საზოგადოებაში და მოსწავლეთა რიცხვიც სულ 39 მეტი არაა; ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ერთი მხრით ის გარემოება, რომ ამგვარი სასწავლებელი ახალი საქმეა ქუთაისში და ჯერ ყველა ვერ იცნობს მას და მეორე მხრით ის, რომ სწავლის ფასი 65 მანეთია წლიურათ, რაც, აღბათ, უმეტესობას ემძიმება. ბავშვების რაცხვი რომ მეტი იყოს, სწავლის ფასის დაკლება შესაძლებელი იქნება და ყველასათვის კარგია.

სასურველია საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ სასწავლებელს და ისარგებლოს მით ისეთ ძნელ და რთულ საქმეში, როგორიც არის ბავშების აღზრდა.

ტ.

განცხადება.

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — — 10 კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

Типографія Кутаисскаго религіоно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирицева